ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7317466

ნომერი: AR11067318

თარიღი : 21.11.2024

გაცემის თარიღი : 12.12.2024

გაცნობის თარიღი : 12.12.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N 22, კორპუსი 1, კორპუსი 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი გოგრიჭიანი პ/ნ 60003000511
- ქ.თბილისი. თ.ერისთავის #3/90

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2024 წლის 21 ნოემბრის №AR11067318 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 21 ნოემბერს №AR11067318 განცხადებით მომართა გივი გოგრიჭიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 15

თებერვლის №5257324 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 15 თებერვლის №5257324 ბრძანებით, №01.12.12.024.195 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი №4, შენობა №2) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 15 თებერვლიდან 2021 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 15 თებერვლის №5257324 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ განმცხადებელს სურს ღია ავტოსადგომის - 360.0 კვ.მ. ფართობის დაფიქსირება. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობად 1136.7 კვ.მ-ის ნაცვლად 1614.7 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ ვინაიდან, წარმოდგენილ -4.50 ნიშნულის გეგმაზე დაფიქსირებულ ავტომობილების სადგომებზე მითითებულია შესაბამისი ფართობები, საჭიროა სავალ ნაწილზეც დაფიქსირდეს შესაბამისი მაჩვენებელი დამოუკიდებლად (პანდუსის ფართობის ჩათვლის გარეშე). ამასთან, წარმოდგენილ ±0.00 ნიშნულის გეგმაზე დაფიქსირებულ ღია ავტოსადგომებზე მითითებულია ფართობები, თუმცა არ არის დაფიქსირებული შესაბამისი გაბარიტული ზომები (სიგრძე, სიგანე). აგრეთვე, აღნიშნული ნიშნულის გეგმასა და გეგმაზე გამოტანილ ექსპლიკაციაზე ავტოსადგომების (შიდა) ჯამური მაჩვენებელი შეუსაბამოა ერთმანეთთან (12x9=108). გაითვალისწინეთ, რომ ±0.00 ნიშნულის გეგმაზე შიდა ავტოსადგომებს წარმოადგენს შენობის კონტურში არსებული №44, №45, №48, №49, №51, №52, №57, №58 და №59 ავტოსადგომები. ამასთან, ღია ავტოსადგომების ფართობები არასწორად არის ჩათვლილი ავტოსადგომისა და საერთო ფართობებში. გაითვალისწინეთ, რომ ღია ავტოსადგომის ფართობი არ იანგარიშება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში მათ შორის ავტოსადგომისა და საერთო ფართობებში. თუმცა, შესაძლებელია დაფიქსირდეს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე.
აგრეთვე, განგიმარტავთ, რომ წინამდებარე განცხადება არასწორად იქნა დარეგისტრირებული „ცვლილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში“ ნომენკლატურით, საჭიროა განცხადება დაარეგისტრიროთ ,,ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში’’ ნომენკლატურით. რისთვისაც, ამავე განაცხადის საფუძველზე მოგეცემათ ნომენკლატურის შეცვლის შესაძლებლობა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული ინფორმაციის წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1. განცხადება დაარეგისტრიროს “ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში” ნომენკლატურით.
1.2. დააზუსტოს მოთხოვნა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
1.3. წარმოადგინოს სამსახურის 2021 წლის 15 თებერვლის №5257324 ბრძანებით შეთანხმებული -4.50 და ±0.00 ნიშნულების გეგმების იდენტური ამავე ნიშნულების გეგმები (გეგმარების ცვლილების გარეშე) გეგმებსა და გეგმებზე გამოტანილ ექსპლიკაციებზე გასწორებული/იდენტური ავტოსადგომების ფართობების დაფიქსირებით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2024 წლის 21 ნოემბრის №AR11067318 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge